განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისი, ჭრელი აბანოს რეაბილიტაციის კორექტირებული პროექტი.

მოგახსენებთ რომ საპროექტო ობიექტის კორექტირებული პროექტი ითვალისწინებს მცირედ ცვლილებებს, რაც ძირითადად გამოწვეულია ინტერიერის და ექსტერიერის არქიტექტურული დეტალების ცვლილებით

პროექტმა განიცადა კორექტირება კერძოდ:

1. -4,58 ნიშნულზე „5“ ღერძის გარეთ შეცვლილია ფრამუგების ფორმა, მდებარეობა და ნაწილობრივ გაბარიტი.

2. „1-5“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია წყალშემკრები ხვრელები და მილები.

3. +1,61 ნიშნულზე ნაწილობრივ შეცვლილია პარაპეტის სიმაღლე და ფორმა.

4. +3,37 ნიშნულზე „1-3“ მონაკვეთში შეცვლილია მოაჯირის ფორმა და ვიზუალი, იგივე მონაკვეთში, გუმბათის ყელთან დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი.

5. „1“ ღერძის გარეთ სამეზობლო გამყოფ კედელზე შცვლილია აგურის ფაქტურა და წყობა.

6. +5,10 ნიშნულზე „ბ-ა“ მონაკვეთში ერთ სამერცხლულში არ არის მოწყობილი ფანჯარა, ხოლო მეორე სამერცხლულს მონაცვლებული აქვს ადგილი და გაზრდილია მისი გაბარიტი.

7. +6,08 ნიშნულზე „ბ“ ღერძის გარეთ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია მისი სიმაღლე.

8. ფასადზე დამატებით მოწყობილია სანათები.

9. „3-1“ მონაკვეთში შეცვლილია კარის ვიზუალი, გაზრდილია პარაპეტის სიმაღლე.

10. „5-1“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია წყალშემკრები ხვრელები და მილები.

11. -1,94 ნიშნულზე (ფრ-1) შეცვლილია სან. კვანძის ფორმა და გაბარიტი, ასევე შეცვლილია უნიტაზის მდებარეობა.

12. -3,22 ნიშნულზე (ფრ-2) ნაწილობრივ შეცვლილია ტიხრების მდებარეობა და რაოდენობა, დამატებით მოწყობილია არსებული მცირე წყლის საცავთან დამაკავშირებელი ღიობი.

13. (ფრ-3) ნაწილობრივ შეცვლილია ღიობის გაბარიტი (ფრ-4) შეცვლილია ოთახის ფორმა და გაბარიტი.(ფრ-5) ნაწილობრივ შეცვლილია ტიხრების მდებაროობა და რაოდენობა.

14. „5“ ღერძის გარეთ კიბის უჯრედის ქვეშ მოწყობილია ფართი.

15. (ფრ-8) +1,61 ნიშნულზე გუმბათის უკან დამატებით შექმნილია ფართი.

16. (ფრ-9) შეცვლილია დუშების მდებარეობა, ასევე დამატებით შექმნილია არკა.

17. „5“ და „ა“ ღერძების გარეთ შეცვლილია ფანჯრის ღიობების კედლის ფორმები.

18. „ა“ ღერძზე „2-5“ მონაკვეთში ნაწილობრივ ფანჯრებს მონაცვლებული აქვს ადგილი.

19. +1,61 ნიშნულზე „ა-ბ“ მონაკვეთში შეცვლილია კედლის ფორმა, ხოლო პროექტით გათვალისწინებულ კარს მონაცვლებული აქვს ადგილი.

20. გენერატორს და ელ. დანადგარებს მონაცვლებული აქვს ადგილი.

21. „ბ“ და „1“ ღერძის გარეთ მოაჯირის ნაცვლად მოწყობილია კაპიტალური კედელი და ნაწილობრივ კიბის უჯრედი გადახურულია მინის საშუალებით, იგივე მონაკვეთში შეცვლილია არკების ფორმა დამოაჯირის სიმაღლე.

22. N2 დამხმარე ფართში დამატებით მმოწყობილია კარი და შექმნილია კიბის ქვეშ ფართი.

23. „5“ და „ბ“ ღერძების გარეთ N2 ფართში გაზრდილია ღიობის სიგანე და შეცვლილია ოთახის სიგანე.

24. გენერატორების და ელ.დანადგარების გვერდით პროექტით გათვალისწინებულ კიბეს შეცვლილი აქვს საფეხურების რაოდენობა და ნაწილბრივ შეცვლილია მისი გაბარიტი.

25. +5,10 ნიშნულზე „4-5“ მონაკვეთში „ბ“ ღერძზე დამატებით მოწყობილია ელ.დანადგარი, იგივე ღერძზე და ნიშნულზე „3-5“ მონაკვეთში შეცვლილია ფანჯრების მდებარეობა.

26. +6,08 ნიშნულიდან +5,10 ნიშნულზე მოსახვედრად „1-3“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის კიბე.

27. +3,37 ნიშნულზე აბანოს ფასადზე ხევის მხრიდან შეცვლილია ფანჯრის გაბარიტები.

28. +6,08 ნიშნულზე N1 ანტრესოლში იატაკზე დამატებით მოწყობილია მინა, N2 შეცვლილია საუნის ოთახის კედლის მდებარეობა და ფორმა.

29. შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა და ფორმა, ასევე შეცვლილია ტიხრების, უნიტაზების და საშხაპეების მდებარეობა.

30. მოაჯირებზე და პარაპეტებზე ზოგიერთ ნაწილზე დამატებით მოწყობილია საცრემლეები ხოლო „5“ ღერძის გარეთ პროექტით გათვალისწინებული თუნუქის სისქე გაზრდილია და შეცვლილია პარაპეტის ფორმა.

31. სახურავზე „5“ ღერძის გარეთ ნაწილობრივ შეცვლილია სახურავის ფორმა, ხოლო „5-1“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სავენტილაციო შახტები და გაზრდილია პარაპეტის სისქე.

32. ფასადებზე ნაწილობრივ შეცვლილია კარ-ფანჯრების ვიზუალი.

33. შენობის ინტერიერში დამატებით მოწყობილია ბუნებრივი ქვით მოპირკეთებები, ხოლო კედლებზე დამატებით მოწყობილია თაბაშირმუყაო.

დანარჩენ ნაწილში პროექტი შესრულებულია შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

ჭრელ აბანოზე ჩატარებული და მიმდინარე სამუშაოების დეტალური განმარტებითი ბარათი

სარესტავრაციო წარმოების ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა ის განსაკუთრებული როლი,რომელიც ენიჭება არქირექტორს – რესტავრაციის პროექტის ავტორს. არქიტექტორის ფუნქცია რესტავრაციის დროს, ახალი მშენებლობისგან განსხვავებით, არ იზღუდება არქიტექტურული ზედამხედველობით, პირიქით, განიხილება როგორც სამეცნიერო-ტექნიკური ხელმძღვანელობა.

რესტავრაციის დროს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს არქიტექტორისთვის ძეგლის კვლევის ნატურაში სრულ დამთავრებას. მხოლოდ ამ სტადიაზე ხდება შესაძლებელი დიდი მოცულობის წყობების დაშლა; შესაცვლელი, გვიანდელი სახურავების მოხსნა; დიდი ფართობის იატაკების გახსნა. ამის შემდეგ დადგინდება იმ ნაშთების ნამდვილი მოცულობა, რომელთა მიხედვით უნდა მოხდეს ძეგლის დაკარგული ელემენტების აღდგენა. ასეთი დაშლა უნდა შესრულდეს უდიდესი სიფრთხილით, რადგან ამ დროს შეიძლება მოისპოს უძვირფასესი კვალი, რომელიც აუცილებელია დაზიანებული ნაწილის სწორი აღდგენისათვის. ეს შეიძლება იყოს საპირე წყობის დაზიანებული უბნები, სამშენებლო ნაგავში შენახული ძველი სახურავის ნაწილები ან სხვა ასეთივე მსხვრევადი ფრაგმენტები, რომელთა მნიშვნელობის დადგენა შეუძლია მხოლოდ არქიტექტორ-რესტავრატორს. ზოგჯერ მნიშვნელოვანი მონაპოვარი აღმოჩნდება ხოლმე ისეთ უბნებზე, სადაც ის მოსალოდნელი არ არის. აქედან გამომდინარე განსაკუთრებით საპასუხისმგებლო უბნებზე დაშლა უნდა წარმოებდეს არქიტექტორის უშუალო ხელმძღვანელობით და მისი თანდასწრებით.

რესტავრაციის პროცესში შესრულებული გახსნის შედეგები, ისევე როგორც ყოველი გახსნა საერთოდ, აუცილებლად უნდა იყოს დაფიქსირებული. ფიქსაცია უნდა ჩატარდეს განსაკუთრებით ოპერატიულად, რადგანაც ის აფერხებს წარმოების მსვლელობას. ასეთი ფიქსაციის ორგანიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ფოტოგრაფიულისა, საჭიროების შემთხვევაში კი აზომვითიც შედის არქიტექტორის ფუნქციებში. მან დროულად უნდა შეაჩეროს სამუშაოები, მოამზადოს უბანი ფოტოგრაფირებისთვის, გამოიძახოს საჭირო შემსრულებული და მისცეს მათ საჭირო მითითებები.

რესტავრაციის დროს, არქიტექტორის ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანაა-აღდგენის ჩატარება დედნის მაქსიმალური დაცვით და შენახულ ნაშთებთან ზუსტი მიბმით. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი ძეგლის აღსადგენი ელემენტების ნამდვილი დოკუმენტური სიზუსტე და შეინახება მისი პლასტიკური ხასითი. ეს შეიძლება მიღწეული იყოს მხოლოდ არქიტექტორის მხრიდან მუდმივი კონტროლის ქვეშ და ზოგიერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპზე, მისი უშუალო მონაწილეობით. ასე მაგალითად, ძველი ქვის ან აგურის წყობის შენობის გაფართოებული ღიობის აღდგენის დროს არქიტექტორმა ჩვეულებრივად უნდა შეასრულოს შემდეგი ოპერაციები:

ოსტატ-კალატოზებთან ერთად აწარმოოს ჩამოთლილი ანაყოლების წყობის ნაშთის ანალიზი, უშუალოდ ნატურაში დაკვალოს ნაშთების მიხედვით, ღიობის გეგმა;

შეამოწმოს ნატურაში, იყო თუ არა ღიობების საპირეები და მათი მოჩარჩოება ზუსტად ვერტიკალური, და აუცილებლობის შემთხვევაში შვეულის მაგივრად უნდა გაჭიმოს ზონარი, რომლის მიხედვითაც უნდა აწარმოონ წყობა;

შეამოწმოს პროფილების სისწორე და შესაბამისად გამოთლილი პროფილების და შაბლონის შესატყვისობა;

გასცეს ქარგილების შაბლონები თაღებისთვის და გუმბათებისთვის, რისთვისაც ადგილზე იყენებენ ფანერის ან მუყაოს ფურცელს, ან ადებენ კალკას და მათზე გადააქვთ მრუდეების ნაშთები ან საყრდენი წერტილები, რომელთა მიხედვით იხაზება შემდეგ მთელი მრუდის მონახაზი;

შეამოწმოს ნატურაში დამზადებული და დადგმული ქარგილის შესატყვისობა შემონახულ კვალთან და საბოლოოდ შეამოწმოს ისინი;

სამუშაო მიიღოს წყობის დამთავრებისა და ქარგილის მოხსნის შემდეგ;

მხოლოდ ყველა ამ პირობების დაცვის შემთხვევაში შეიძლება იყოს გარანტირებული აღდგენილი ღიობისა და ნაშთების ნამდვილი ზუსტი სახე.

განსაკუთრებული ყურადღება და პირადი მონაწილეობა მოეთხოვება არქიტექტორს იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ მიზეზების გამო (უფრო ხშირად გასამაგრებლად) აუცილებელია ნაგებობის რომელიმე ნაწილის დაშლა და ხელახლა აღდგენა. მან უნდა უზრუნველყოს ყოველი დეტალის თავდაპირველ ადგილზე დაყენების უნაკლო სიზუსტე, რისთვისაც წინასწარ, ჯერ კიდევ დაშლამდე მზადდება შესაბამისი მუშა შაბლონები.

მეტად საპასუხისმგებლოა არქიტექტორის როლი გასაწყობი სამუშაოების შესრულების დროს. მან უნდა მიაღწიოს არა მარტო მაღალ ტექნიკურ ხარისხს, არამედ ხელმძღვანელობდეს კოლორების შერჩევას, ამტკიცებდეს საცდელ ნიმუშებს. ამ სტადიაზე საბოლოოდ ყალიბდება ძეგლი ინტერიერის ფერადი გამა, რომელზედაც დიდად არის დამოკიდებული მის მიერ შექმნილი მხატვრული შთაბეჭდილება.

1. ჭრელი აბანოს რეკონსტრუქცია დაიწყო 2014 წლის ნოემბრის ბოლოს. მშენებლობის ნებართვა ძალაშია 2017 წლის 31 მაისამდე.
2. -3,39 ნიშნულზე - აბანოების ყველა ნომრიდან (გარდა ერთი ნომრისა, რომელიც ცნობილია როგორც "პუშკინის აბანო") კედლებიდან, ჭერიდან და იატაკიდან მოიხსნა XXსაუკუნის 90-იან წლებში მოწყობილი დამახინჯებული ფენები. კონკრეტულად მეთლახის, კაფელის და ცემენტის საკმაოდ დიდი სისქის ფენები.
3. "პუშკინის აბანოდ" ცნობილი აბანოს ნომრის ნაწილობრივ შემორჩენილი XIX საუკუნის იატაკის შესანარჩუნებლად, იატაკზე მოეწყო რბილი საფარი, რათა კედლებიდან და ჭერიდან ჩამოცვენილ კაფელს არ დაეზიანებინა ძველი იატაკი. ძეგლის დამახინჯებული ფენების მოხსნით გამოჩნდა ჭრელი აბანოს თავდაპირველი კედლების სტრუქტურა, სადაც ძირითადად გამოყენებულია ქართული და რუსული აგური.
4. -3,39ნიშნულზე დიდი აბანოს ნომერში აუზის მიმდებარე კედლების გაწმენდის შედეგად ნალესობის ქვეშ გამოჩნდა სილიკატური აგურით (თეთრი აგურით) სამივე მხარეს ამოშენებული აბანოს თანადროული შეისრული თაღები. სილიკატური აგურის გამოყენება თავისი ტოქსიკურობის გამო სასტიკად აგრძალულია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. ეს თაღები პროექტში არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ რეკონსტრუქციის დროს მოიხსნა ეს დამახინჯებული ფენა და აღდგა თავდაპირველი სახით, რაც ასახულია კორექტირებულ პროექტში(<u>იხ. ფოტოები №№ 1-14 იხილეთ გეგმა -3.39 ნიშნულზე ფრაგმენტი №1)</u>
5. -3.39 ნიშნულზე შურფი №1 საფუძველზე პროექტში ძველი წყალსაცავის ადგილზე დაპროექტდა აბანოს ერთი ნომერი; (რეკონსტრუქციის პერიოდში, **გვიანდელი ფენების მოხსნის შემდეგ მთელ აბანოზე ჩატარდა ხელახალი არქეოლოგიური აზომვითი სამუშაოები არქიტექტორ-რესტავრატორის მიერ, რაც აუცილებელი გახდა პირველ რიგში გვიანდელი ფენების ჩამოხსნის შემდეგ - ახალ გამოჩენილი ფორმების დასაფიქსირებლად, ასევე მოცულობის და გაბარიტების დასაზუსტებლად.** ამ ეტაპზე აზომვითი სამუშაოები აუცილებელი იყო აბანოს კედლების მოპირკეთებისას სიზუსტის დასაცავად). აზომვითი სამუშაოების დროს დაზუსტდა ყოფილი წყლის საცავის კონფიგურაცია და ფართობი. აღმოჩნდა, რომ ჩვენს მიერ ნავარაუდევი ფართი (ყოფილი წყლის საცავი) გაყოფილი ყოფილა ორ ნაწილად და შეთანხმებულ პროექტში ეს სივრცე, როგორც არსებულ სიტუაციაში ისე არ იყო ასახული. ხოლო წარმოდგენილ კორექტირებულ პროექტში ჩვენ არ შევეხეთ არსებულ, თითქმის 1მ სისქის შუა კედელს, ხოლო აბანოში შესასვლელი კარი გაიჭრა გახსნილი №1 შურფის ადგილიდან და მოეწყო შედარებით მცირე ზომის

აბანოს ნომერი. ხელუხლებელი დარჩა არსებული მცირე წყლის სათავსი. **(იხ. -3.39 ნიშნულის გეგმა ფრაგმენტი №2)**

6. -3.39 ნიშნულზე აბანოს ერთ-ერთ ნომერში შეთანხმებული პროექტით გათვალისწინებული იყო განივ კედელში ორი თაღის მოწყობა, რაც საგრძნობლად ასუსტებდა არსებულ მზიდ კედელს, კორექტირებულ პროექტში დარჩა არსებული კარის ღიობი – გაბარიტების უცვლელად. მზიდი კედელი აღარ სუსტდება. **(იხ. -3.39 ნიშნულის გეგმა ფრაგმენტი №3)**
7. ასევე ახალი თაღის მოწყობა იყო გათვალისწინებული -3.39 ნიშნულზე დერეფნის დასაწყისში, კორექტირებულ პროექტში კედლები და თაღები შენარჩუნდა თავდაპირველი სახით. **(იხ. -3.39 ნიშნულის გეგმა ფრაგმენტი №4)**
8. -3.39 ნიშნულზე კიბის უჯრედიდან მარჯვენა აბანოს ნომერში, გვიანდელი ფენების და უსახო კერამიკული ფილების მოხსნის შემდეგ გამოჩნდა თბილისის სარდაფებისთვის დამახასიათებელი სამი გაშლილი საბრჯენ თაღიანი, აგურით მოპირკეთებული სათავსო. შუა საბრჯენი თაღი წინა საუკუნის 90-იან წლებში ამოშენებული იყო, კორექტირებული პროექტით ეს ეს ტიხარი მოიხსნა და ეწყობა სრულყოფილი აბანოს ნომერი; ამ ნომრის ბუნებრივი განიავების მიზნით, ხევის მხარეს არსებულ კედელში მოეწყობა 300მმ იანი სავენტილაციო ხვრელი . ლელვთახევის მხრიდან ეს სავენტილაციოები ხვდება 2012 წელს თბილისის მერიის მიერ აღდგენილი თაღედის ქვეშ. აქვე გაიხსნება ადრინდელი სარკმელი, რომლის კვალი გამოჩნდა გვიანდელი კერამიკის ჩამოხსნის შემდეგ და რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს აბანოს ნომრის გასახდელი განიავებადი და მეტად ნათელი გავხადოთ **(იხ. -3.39 ნიშნულის გეგმა ფრაგმენტი №5; იხ. ფასადი ხევის მხრიდან)იხ ფოტოები**

   ამ ეტაპისთვის ჭრელი აბანოს ყველა სართულზე მოხსნილია გვიანდელი ფენა - კაფელის, მეთლახის, ხის საფარის სახით. პროექტის მიხედვით დაიშალა გვიანდელი კედლები და არსებულ კედლებში მოეწყო ღიობები და ნიშები. მიმდინარეობს მოსაპირკეთებელი სამუშაოები; **იხ. ფოტოები №№ 10,11,12,13,14;**
9. ჭრელი აბანოს ტერასაზე (ბანზე) მოიხსნა ასფალტის სქელი ფენა. არსებულ გუმბათებს მოსცილდა ცემენტის საკმაოდ სქელი ნალესობა. ამ ღონისძიებით შემსუბუქდა არსებულ გადახურვაზე დატვირთვა. ამ სამუშაოების დროს გამოჩნდა -3,39 ნიშნულზე აბანოს სამხრეთით ლელვთახევის მხარეს მცირე სათავსი ტერასიდან ჩასასვლელით, რომელიც შემდგომში გამოყენებული იქნება გოგირდის წყლის გამანაწილებლის განსათავსებლად. **(იხ. -3.39 ნიშნულის გეგმა ფრაგმენტი №6)**
10. -3,39 ნიშნულზე კანალიზაციის ქსელის მოძიების მიზნით მოეწყო შურფები, გაიხსნა იატაკი, რის შედეგადაც აღმოჩნდა ძველი საკანალიზაციო არხი. **იხ. ფოტოები №№ 18,19;(იხილეთ -3.39 ნიშნულზე გეგმა ფრაგმენტი №7 და ფრაგმენტული ჭრილი 3-3).** არსებული ძველი საკანალიზაციო ხაზი ისევ დაკონსერვდა, რადგან მისი გამოყენება 21 საუკუნეში იმავე დანიშნულებით შეუძლებელი აღმოჩნდა.
11. 0.00 ნიშნულზე ყოფილ ქალთა საერთო აბანოში ჩამოიხსნა გვიანდელ უსახური ნამტვრევი კერამიკული ფილებით მოპირკეთება, გადაეწყო და აღდგა არსებული ქართული აგურის გუმბათი, ინტერიერში მოიხსნა სამი რკინის მილი, რომელთა გამო დაშლის პირას იყო მისული გუმბათი. გვიანდელი ფენების მოხსნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გუმბათი განთავსებულია აფრის ფორმის კონსტრუქციაზე, სადაც გამოყენებულია რომბის ფორმის

ქართული აგურის წყობა. დარბაზს დაუბრუნდა თავდაპირველი სახე. (იხ. +0.00 ნიშნულის გეგმა ფრაგმენტი №8 იხ. ფოტოები 1-5 და 33-35)

12. +0.00 ნიშნულზე დერეფანი რეკონსტრუქციის დაწყებამდე მოპირკეთებული იყო სხვადასხვა მასალით –კერამიკული ფილებით, ხის მასალით, პლასტმასის ფილებით. სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაწყების შემდეგ, ამ ფენების ქვეშ, დერეფნის მარჯვენა მხარეს გამოჩნდა რუსულ აგურით მოწყობილი შეისრული თაღები. აზომვითი სამუშაოების საფუძველზე მოხდა თაღების დაფიქსირება. კორექტირებულ პროექტში აბანოსთვის თავდაპირველი იერის დასაბრუნებლად ინტერიერში შენარჩუნდა შეისრული თაღების რიგი.მოიხსნა გვიან ჩაშენებული წყლის აუზის ლითონის კარკასი(იხ. +0.00 ნიშნულის გეგმა ფრაგმენტი №9)
13. ამავე დერეფანში მარცხნივ, ახალი მინაშენის მხარეს შეთანხმებულ პროექტში იხსნებოდა მზიდი კედელი ორ ადგილას კარის მოსაწყობად, რაც საგრძნობლად დაასუსტებდა არსებულ კედელს, ამის გამო კორექტირებულ პროექტში აღარ ეწყობა ახალი კიბე და ძველი არსებული კიბის საშუალებით ვხვდებით ახალ მინაშენში განთავსებულ აბანოს ნომერში. ამასთან ერთად მარცხენა მხარეს გვიანდელი მოპირკეთებების ჩამოხსნის შემდეგ გამოჩნდა სამი სწორკუთხა ღრმა ნიშა. რამაც ინტერიერს უფრო მეტი სილამაზე შესძინა. (იხ. +0.00 ნიშნულის გეგმა ფრაგმენტი №10)
14. +3.37 ნიშნულზე მოიხსნა გვიანდელი მოპირკეთება და გაიხსნა გვიანდელი ჩაშენება.(იხ. +3.37 ნიშნულის გეგმა ფრაგმენტი №11)
15. +3.37 ნიშნულზე რეკონსტრუქციის დროს გამოვლენილი მდგომარეობის გამო შეთანხმებულ პროექტში კარი იჭრებოდა რამოდენიმე ადგილზე, რაც იწვევდა არსებული მზიდი კედლის დასუსტებას. სწორედ ამის გამო კორექტირებულ პროექტში კარის ადგილი დარჩა უცვლელი, ავთენტური.(იხ. +3.37 ნიშნულის გეგმა ფრაგმენტი №12)
16. ხევის მხრიდან ფასადზე გასახსნელია ოთხი სარკმელი (სამი დიდი და ერთი პატარა), შეთანხმებულ პროექტში ნაჩვენებია ნიშები, მაგრამ ინტერიერში გვიანდელი მოპირკეთების ჩამოხსნის შემდეგ გამოჩნდა ოთხივე სარკმლის კვალი აბანოს მხრიდან. აბანოს ამ ნომერს ბუნებრივი განიავება არ ქონდა და ამ სარკმლების გახსნით ნომერი მეტად განიავებადი და კომფორტული იქნება. სარკმლების გახსნით ფასადსაც დაუბრუნდება თავდაპირველი სახე. იხილეთ გეგმა -3,39 ნიშნულზე და ფასადი ხევის მხრიდან; იხ. ფოტოები36-44;
17. სარესტავრაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების დროს დეტალური გამოკვლევა ჩაუტარდა ჭრელი აბანოს მთავარ ფასადს. შედეგად აღმოჩნდა, რომ ძლიერ დაზიანებული იყო პორტალის გუმბათების კონსტრუქცია, მორყეული და დაშლილი იყო გუმბათის მოპირკეთება (შორენკეცების თითქმის 80% შეიცვალა ახალით). გუმბათები მოპირკეთებულია წაკვეთილი პირამიდის ფორმის მოჭიქული კერამიკული ფილებით (შორენკეცებით). იხ. ფოტოები №№ 20,21,22,23,24;იხილეთ მთავარი ფასადი.

მარჯვენა გუმბათის ძირი გამოიცვალა მთლიანად იგივე მასალით ეკლარის ქვით და მარცხენა გუმბათის შემორჩენილი ძირის ანალოგიურად გაკეთდა დეკორი).

XX საუკუნის მე-2 ნახევარში რესტავრირებული მცირე გუმბათები ძლიერ დაზიანებულია. დაზიანებების უკეთესად აღსაქმელად პირობითად გუმბათი შეიძლება დავყოთ ოთხ ნაწილად. I. გუმბათის მოჩუქურთმებული ძირი

ცილინდრული ფორმის, II. დოლაბის ფორმის ორ საფეხურიანი ზედსართი, III. ექვსი შეისრულთაღიანი გუმბათის მოჩუქურთმებული ყელი და IV. შეისრული გუმბათი მოპირკეთებული მოლურჯო მოცისფრო შორენკეცებით (ჭრელი აგური, მოჭიქული აგური).

I, II და III ნაწილები გათლილია ქვიშაქვაში.კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ორივე გუმბათის I. ძირი ძლიერ დაზიანებულა. პორტალთან მიერთების ადგილში ძირი დაძრულია ცენტრალური ღერძიდან. (მოხსნის შემდეგ გამოჩნდა რომ ორივე გუმბათი ჩაანკერების გარეშე იყო დადებული პორტალის თავზე და კუსტარულად იყო გამაგრებული ცემენტის ხსნარით) ეს სიცოცხლის დიდ საშიშროებას შეუქმნიდა ძეგლთან ახლოს მოსიარულე მოქალაქეებსა და ტურისტებს. გარდა ამისა გუმბათების I, II და III ნაწილებზე შეიმჩნევა დიდი ზომის გრძივი და განივი ბზარები, რაც გამოწვეული უნდა იყოს მიწისძვრის მიზეზით და ქვის ტიპის გამო. III ნაწილი ორივე გუმბათზე შემოტრიალებულია და არასიმეტრიულად დგას ქვედა I და II ნაწილების მიმართ, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნის გამვლელებს.

ყოველივე ამის გამო გადაწყდა ორივე გუმბათის ქვემოთ ჩამოტანა მათი შემდგომი რესტავრაცია-რეკონსტრუქციის მიზნით. გუმბათების ქვემოთ ჩამოტანა მოხდა დიდი სიფრთხილით ამწის საშუალებით არქიტექტორ-რესტავრატორის, სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით და ყველა რესტავრაციის წესებისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

ქვემოთ ჩამოტანის შემდეგ შესაძლებელი გახდა უფრო დეტალურად მათი შესწავლა და გამოკვლევა.

IV ნაწილი - გუმბათი, ღრუ ტანიანია. შეისრული გუმბათის ფორმა მიღებულია შეისრულად დაღუნული არმატურების ბადის საშუალებით, რაც შემდეგ გადალესილი იყო თაბაშირის სქელი ფენით ფორმის მისაღებად. თაბაშირის ზედაპირი მოპირკეთებული იყო მოჭიქული კერამიკული ფილებით (წაკვეთილი პირამიდის ფორმის მოჭიქული ფართე მხრით) ცემენტის ხსნარზე.

მოჭიქული კერამიკული ფილებით (შორენკეცებით) მოპირკეთებული შეისრული გუმბათის ზედაპირის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ გუმბათის ის ნაწილი სადაც წვიმა ხვდებოდა იშლებოდა. ცემენტის ხსნარი გამიწებული და დახავსებული იყო. საკმაოდდიდი რაოდენობით შორენკეცი შუაზე იყო გამსკდარი და ჩამოცვენილი.

გუმბათზე ბუდიდან ამოვარდნილი მორყეული ჭიქური კერამიკა მოიხსნა, გაიწმინდა ხავსისგან და გამიწებული ცემენტის დუღაბისგან და გადაეწყო. დამზადდა ახალი კერამიკა იმ ფილების სანაცვლოდ რომლის აღდგენა შეუძლებელია. თაბაშირის ფენა გასუფთავდა გამიწებული და დახავსებული ზედაპირისაგან. ახალ ცემენტის ხსნარზე მოეწყო კერამიკული ფილები (შორენკეცები).

მარჯვენა გუმბათის ქვედა ძირი I აღდგენას არ ექვემდებარებოდა და ამასთან ერთად როგორც კონსტრუქციული ელემენტი გამოუსადეგარი იყო. ნახატი აღდგა მარცხენა შემორჩენილი გუმბათის ძირის არსებული ჩუქურთმის ანალოგიურად ნიჩბისის მოყვითალო ქვით (არსებულ ქვასთან მიმსგავსებულ ფერში).

არსებული ბზარები და დაზიანებული ჩუქურთმა შეწებდა და გამაგრდა. სიმყარისთვის გარდა ქვედა ძირის ანკერებით გამაგრებისა ანკერები მოეწყო II და III ნაწილებს შორის. (ადრე მარჯვენა გუმბათი მხოლოდ დაწებებული იყო). ახალი შორენკეცენი გამოიწვა არსებულის შესაბამისად და ფერითმომწვანო მოლურჯო არსებულის შესაბამისად. გუმბათების ქვის ნაწილი დამუშავდა ზედაპირის გამამაგრებელი ხსნარით. ძველი შორენკეცები გაიწმინდა და დაუბრუნდა საკუთარ ადგილს.

გუმბათები სრული რესტავრაცია-რეკონსტრუქციის შემდეგ, ისეთივე სიფრთხილით და არქიტექტორ-რესტავრატორის მეთვალყურეობით, ამწის საშუალებით დაუბრუნდა საკუთარ ადგილს წინასწარ გასუფთავებულ და გამაგრებულ პორტალის თავზე.გადაეწყო პორტალის აგურის ფასადი აივნის ნიშნულის ქვემოთ. აგურის და ჭიქური ფასადის კერამიკა რამოდენიმე მონაკვეთში გასუფთავდა და დამუშავდა სპეციალური ხსნარით. <u>იხ. ფოტოები №№ 29,30,31,32;</u>

ზოგადად, რესტავრაცია არის კომპლექსური ღონისძიება, რომელიც მიმართულია ძეგლი შემდგომი დაშლის-რღვევის წინააღმდეგ. პროფესიონალური რესტავრაცია მოითხოვს თანამედროვე მეცნიერების ყველა მიღწევის გამოყენებას.

ეს კი მოითხოვს პროფესიონალურ ჩვევებს. წარმოდგენა – ერთია და შესრულება – მეორე. ყველა ძეგლზე არ შეიძლება რესტავრაციის სტანდატრული მეთოდების გამოყენება. ზოგიერთი მეთოდი მოძველებულია, არასწორედ შერჩეული მასალები იწვევენ ძეგლის უფრო მეტად დაზიანებას. და კიდევ, ძეგლის ძველი იერსახის აღდგენა ყოველთვის არ ნიშნავს მის ავთენტურობის შენარჩუნებას.

არქიტექტორ-რესტავრატორი: ი.გამყრელიძე

არქიტექტორი: გ. ძიძიკაშვილი

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების სანებართვო მოწმობა

№ 5/09/12/80

1. ნებართვის მფლობელი

შპს "ჭრელი აბანო", საიდენტიფიკაციო (რეგისტრაციის) ნომერი №204543299, მისამართი – ქ. თბილისი, აბანოს ქ. №2.

2. სამართლებრივი საფუძველი

შპს "ჭრელი აბანო"-ს წარმომადგენლის ირაკლი გამყრელიძის 2014 წლის 24 მარტის №6/278 განცხადება და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 27 მარტის № 4/42 ბრძანება.

3. სანებართვო ობიექტი

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი – ქ. თბილისში, აბანოთუბანში, აბანოს ქ. №2-ში მდებარე ჭრელი აბანო.

4. შესასრულებული სამუშაო

ქ. თბილისში, აბანოთუბანში, აბანოს ქ. №2-ში მდებარე ჭრელი აბანოს სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

5. სამუშაოთა შუალედური ანგარიშის წარდგენის ვადა

2014 წლის 25 სექტემბერი; 2015 წლის 25 მარტი; 2015 წლის 25 სექტემბერი.

6. ნებართვის მოქმედება

2014 წლის 27 მარტიდან 2016 წლის 31 მარტამდე, საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

7. ნებართვა გაცემულია

საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საფუძველზე.

8. სანებართვო მოწმობის გაცემის თარიღი:

27. 03. 2014

პაატა გაფრინდაშვილი
გენერალური დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი

ჭრელი აბანოს რესტავრაცია –რეკონსტრუქცია

მეთოდოლოგია

სარესტავრაციო წარმოება არსებითად განსხვავდება ჩვეულებრივი მშენებლობისა და რემონტისაგან. რესტავრაცია – რეკონსტრუქციის დროს გრძელდება ძეგლის კვლევა, კეთდება დამატებითი ზონდაჟები, იშლება გვიანი აგურის წყობა; რესტავრაცია – ძეგლის გახსნისა და აღდგენის განუყოფელი პროცესია.

აქედან გამომდინარე მისი ორგანიზების ზოგიერთი თავისებურება. მაგალითად: წარმოების მსვლელობის დროს საჭირო ხდება სამუშაოების შეჩერება ძეგლის გახსნილი ნაწილების ფიქსაციისთვის, ზოგჯერ კი, თუ ჩნდება მანამადე უცნობი გარემოებანი, ახალი სარესტავრაციო გადაწყვეტილების გამომუშავებისათვის, პროექტის ცალკეული დეტალები საბოლოოდ ზუსტდება მხოლოდ აღდგენის პროცესში, რაც სრულდება ნატურაში შერჩენილ კვალთან მიბმით.

რესტავრაციის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ძეგლის თავდაპირველი ელემენტების დაცვის უზრუნველყოფა, მაშინაც კი, როდესაც ამას თან ახლავს მშენებლობის გაძვირება და ტემპის შენელება. ამის გამო წარმოების მსვლელობის დროს იძულებული ვხდებით მივმართოთ დროებით გამაგრებით კონსტრუქციებს და დაცვით მოწყობილობას. საჭიროა ხანმოკლე ნალექისაგანაც კი დავიცვათ ისეთი კონსტრუქციები, რომლებიც ყველაზე ადვილად ინგრევა წყლის ზემოქმედებით – ჩვენ შემთხვევაში აბანოს აგურის გუმბათები და გადახურვა. სახურავის და გუმბათების ნებისმიერი გახსნა განსაკუთრებით ხანგრძლივი სამუშაოების დროს, რეკომენდირებულია ჩატარდეს მხოლოდ დროებითი სახურავების მოწყობის შემდეგ, (ჩვენ შემთხვევაში გუმბათებზე და I დონეზე ჩასასვლელი კიბის მოწყობის დროს) რომლებიც ისე უნდა იყოს აგებული, რომ მათ ქვეშ შეიძლებოდეს მუშაობა.

რესტავრაციაში ინდუსტრიული სამშენებლო წარმოების თანამედროვე მეთოდების გამოყენება შეიძლება მხოლოდ ძალიან შეზღუდულ ფარგლებში, ძირითადად იყენებენ მცირე მექანიზაციის საშუალებებს და უმეტესწილად ხელით შრომას. სარესტავრაციო სამუშაოები მოითხოვს ისეთი სპეციალობების მაღალი კვალიფიკაციის ოსტატების მოზიდვას, როგორიცაა, კალატოზი, ქვითხუროები, დურგლები, ხუროები, მებათქაშეები და ა.შ.

სარესტავრაციო წარმოების სპეციფიკაცია ვრცელდება აგრეთვე რესტავრაციაში გამოყენებულ მასალებზეც, რომლებიც გარკვეულ წილად პირობითად შეიძლება დავყოთ ოთხ ჯგუფად. ეს, უპირველეს ყოვლისა, ის

ანალოგიური სამშენებლო მასალებია, რომლებისაგანაც თავის დროზე აგებული იყო აღსადგენი ნაგებობა. ასეთებია ბუნებრივი ქვა, აგური (ეგრეთწოდებული ქართული და რუსული აგური), ხე, კირი, თაბაშირი, მეთლახი, კერამიკული ფილები და მოსაპირკეთებელი ჭიქური კერამიკა (შორენკეცი).

სამუშაოთა წარმოებისას გასათვალისწინებელია შენობის კონსტრუქციის რთული დამოკიდებულება ცვალებადი გარემოს ფაქტორებზე და ასევე სხვა ფაქტორებზე.

ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს რღვევის დიაგნოსტიკა და ძველი განბრჯენი მზიდი კონსტრუქციის შესაძლებლობის დიაგნოსტიკა – გუმბათები, თაღები და კამარები გამომდინარე: კამარების წყობის სტრუქტურის, როგორც სივრცითი სისტემის სპეციფიკაციით;

მათი დამოკიდებულებით ვერტიკალურ მზიდი ელემენტების მდგრადობასთან და შემაკავშირებელ კარკასთან;

შესაძლო ტრანსფორმაციების მრავალფეროვნებით და დატვირთვის გადანაწილებით, სამუშაო სქემის ცვლილებებით;

დიაგნოსტიკის საფუძველს პირველ რიგში წარმოადგენს შენობის სტატიკური მდგომარეობის შეფასება – მისი კონსტრუქციული სისტემის დეფორმაციის ხასიათის ასევე მიღებული მონაცემების შეთანხმება საინჟინრო – გეოლოგიურ კვლევებთან.

გარდა ამისა ზოგიერთ შემთხვევაში მიმართავენ დეფორმაციის დინამიკის შესწავლას წარსულში ძეგლის მდგომარეობის მონაცემების შეკრების გზით, განმეორებით გეოდეზიური მაღალი სიზუსტით გაზომვით და ნიშნულების დასმით ნაპრალებზე.

ნიშნულები კეთდება თაბაშირის ან სხვა ხსნარით და აღინიშნება წარწერებით თარიღით და რიგითი ნომრის მითითებით. რის შემდეგაც ხდება ნიშნულების შემოწმება და მონაცემების შეტანა სპეციალურ ჟურნალში.

ძეგლების დეფორმაციების სახეები მათი წარმოშობის მიხედვით იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

1. დეფორმაცია, რაც დაკავშირებულია კონსტრუქციის შიდა თავდაპირველ ნაკლთან;

2. დეფორმაცია, რაც გამოწვეულია გარე, მეორადი გაუთვალისწინებელი ფაქტორებით;

დეფორმაციის მიზეზები, როგორც წესი, შეიძლება იყოს ადამიანის მოქმედების შედეგი ირიგაციული სამუშაოები, გადაგეგმარება და ძეგლის ნაწილის

მოშენება შიდა გადაკეთება და სხვა ექპლუატაციური ღონისძიებები. დეფორმაციის გარე მიზეზებს მიეკუთვნება ასევე ცალკეული კონსტრუქციის წინასწარ განსაზღვრული დაზიანება, ომის შედეგები, სტიქიური უბედურებები.

დეფორმაციის მეორადი მიზეზები ძირითადად არის:

1. ჰიდროლოგიური პირობების შეცვლა ძეგლის უბანში, ტერიტორიის დაწყლიანება და გამოშრობა, საძირკვლის მზიდი შესაძლებლობის შემცირება. (წყლიანი გრუნტის მოჭიდების ძალის შემცირება, ლპობითი პროცესები, გრუნტის დამარილება);

2. თხრილების გათხრა სხვადასხვა კომუნიკაციებისთვის, მეტროპოლიტენის გაყვანა ძეგლის სიახლოვეს, ღრმა სარდაფის მოწყობა, ასევე ჭების ამოთხრა შენობაში და შენობის მიმდებარეთ;

3. ძეგლის ფუნდამენტის მახლობლად ჩატარებული სამუშაოები;

*4. ძეგლზე დამატებითი მოცულობების მიდგმა ღრმა ფუნდამენტით;

*5. ძეგლის მიმდებარეთ მიმდინარე მშენებლობები, რომელიც იწვევს ძეგლზე ირიბ დაწოლას (ჩვენთან არსებული ფაქტორია სასტუმროს შენობა);

6. შენობის გადაგეგმარება და გადაკეთება, რაც ცვლის საწყის სამუშაო სქემას (ღიობების ამოვსება, კამაროვანი გადახურვის შეცვლა ბრტყელი გადახურვით, არსებული გადახურვის დაშლა ან დამატებითი გადახურვის მოწყობა, საჰაერო სადენების დემონტაჟი, კონტრფორსების და კონტრმაფორსირებელი მინაშენის დაშლა;

7. საექსპლოატაციო დატვირთვის შეცვლა (გაზრდა, გადატანა);

8. ტრანსპორტის ვიბრაციული ზემოქმედება, ხიმინჯების ჩასობა და ჩაძირვა, ძრავის მუშაობა, ასევე გენერატორებისა და ვენტილატორების მუშაობა შენობის შიგნით, ბურღვის სამუშაოები შურფების და დიდი ზომის ხვრელებისათვის;

9. ბურულის (ჭერის), წყალჩასადინარის და შემონაკირწყლის დეფექტები; კანალიზაციის წყალგაყვანილობის დაზიანება;

10. ძეგლის ოპტიმალური ტემპერატურული – ტენიანობითი რეჟიმის დარღვევა;

11. ხის შეშრობა, კომბინირებული სისტემების ღეროების კვანძების დაზიანება;

12. ქიმიური და გადამუშავებული ნარჩენების დაყრა, ჰაერის დაბინძურება ძეგლის სამშენებლო მასალებზე აქტიურად მოქმედი ნივთიერებებით;

ამ მიზეზების ჯგუფებად დაყოფა საჭიროა გათვალისწინებული იქნას ძეგლის დიაგნოსტიკისთვის, ასევე ექსპლუატაციისა და რემონტის დროს.

გარეგან დეფორმაციებს ყოფენ:

ვერტიკალური – ფუნდამენტის, ცალკეული კონსტრუქციების ან შენობის ნაწილის დაწევა (დაჯდომა), წყობის დაშლა, ხის ცემენტების გაშრობა და დაჟეჟვა, დროებითი ან მუდმივი საბრჯენი კონსტრუქციის დაშლა.

ჰორიზონტალური – ფუნდამენტის, ძეგლის ნაწილების დაძვრა, ცალკეული კამარების, თაღების ქუსლების დაძვრა, შეკოჭვის შემცირებისას ნივნივის ფეხების გადაცდომა წყობის დაშრევება კოროზიის, ტემპერატურული დეფორმაციის გამო.

ღუნვითი – არაცენტრალურად დატვირთული დგარების ღუნვა; თხელი კედლების, სხვა ელემენტების ღუნვა; თხელი კედლების, სხვა ელემენტის ღუნვა, კოჭების, ფილების გაღუნვა, ფერმის სარტყელის ჩაკიდება, კამარების წყობის ადგილობრივი გადამრეტება.

შერეული – წარმოადგენს სხვადასხვა სახის დეფორმაციების ერთობლიობას.

თითოეული სახის დეფორმაციას აქვს მისთვის დამახასიათებელი გარეგანი ნიშნები – ბზარების და ნაკერების გახსნა, შეერთებების დაშლა, ნახეთქების წარმოქმნა.

პლასტიკური წყობა შეიძლება დეფორმირდეს ბზარების გაჩენის გარეშე, ნაკერების გაღუნვით ან მათი თანაბარი გახსნით.

სივრცითი კონსტრუქციების რთული დეფორმაციების ხანდან თან ერთვის ფასადზე და ინტერიერში სხვადასხვაგვარად ორიენტირებული ბზარები, რაც მიუთითებს პროცესის სტადიას ან ამ ელემენტის დაქვემდებარებას დეფორმაციულ ბლოკში.

განმბრჯენი სისტემის დაზიანების სახეები და მიზეზები

თაღებისა და კამარების მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია ვერტიკალურ მზიდ კონსტრუქციებთან – (კედლები, კოლონები, პილონები) და შესაბამისად მათი სამშენებლო მასალის მდგომარეობასთან, ასევე ფუნდამტენტისა და საძირკველის მდგომარეობასთან. მეორეს მხრივ, როგორც განმბჯენი სისტემები - კამარები დამოკიდებულია კონსტრუქციაზე. თაღები, კამარები და მათი სისტემები დეფორმირდება და იშლება თუ არ არის შენარჩუნებული:

1. საყრდენის უძრაობა ანუ განმბჯენი კონსტრუქციის სიმტკიცის გარე ფაქტორი;

2. თაღის ფორმის ნორმალური მოჭიმვა ანუ წყობითი განმბჯენი კონსტრუქციის სიმტკიცის შინაგანი ფაქტორი;

საყრდენების ჰორიზონტალური გადანაცვლების მიზეზებს წარმოადგენს:

- კედლების, დიაფრაგმის და სხვა ვერტიკალური კონსტრუქციების არასაკმარისი საწყისი სიმტკიცე, რასაც ეყრდნობა კამარები, მათი დამყოლობა გაბრჯენის მოქმედებასთან.
- საერთო საწყისი სიმტკიცის შემცირება მთლიანი მოცულობითი კონსტრუქციის ცალკეული დეფორმაციულ ბლოკებად განცალკევებისას.
- ვერტიკალური კონსტრუქციის დაჯდომა გვერდით გადახრით ან ფუნდამენტის დაშლით.
- კონსტრუქციის შეცვლა, რომელიც აწონასწორებდა კამარის განბრჯენას. მაგალითად, თაღოვანი გადახურვის შეცვლა ბრტყელით.
- კონტრფორსების დაშლა გადანაცვლება.
- შემკრავი კარკასის ნაწილობრივი ან მთლიანი დაზიანება, საჰაერო კავშირების გაწყვეტა, მისი ანკერული ნაწილების მწყობრიდან გამოსვლა.

კამარების ქუსლების ვერტიკალური გადანაცვლება შესაძლებელია დაჯდომის ან საყრდენების (ცენტრალური ბოძი, კედლები– დაშლისას, ასევე დიდი დამატებითი ღიობის გაჩენისას კამარის ქუსლის ქვეშ. მაგალითად, შუაკედლის განადგურება განყალიბებებს შორის. (განყალიბება – შეფიცვრის მოხსნა). აღსანიშნავია კამარების ნაკლები მგრძნობელობა საყრდენების დაჯდომასთან მათ ჰორიზონტალურ გადანაცვლესთან შედარებით.

თაღების და კამარების დაშლის შინაგან მიზეზებს, საყრდენების სტაბილურობისას, წარმოადგენს:

- მოცემულ დატვირთვაზე არარაციონალური ფორმა;
- არასაკმარისი სისქე, კამარის ზედმეტი მერყეობა;
- დასაშვები დატვირთვის გადაჭარბება ან დატვირთვის არათანაბარი გადანაწილება კამარაზე;
- სამშენებლო მასალის სიძველე – აგური, დაშლილი დამაკავშირებელი მასალა;
- გაუმართლებელი, არასწორი სარემონტო – სარესტავრაციო სამუშაოები. მაგალითად, კამარების დაფარვა ბეტონის და სხვა "დამცავი" გარსით.

კამარების დეფორმაციის ნიშნების სისტემატიზაცია

ნებისმიერი ტიპის კამარების-თაღების ბზარები განლაგებულია მაქსიმალური დაჭიმვის ან ზეწოლის ადგილებში. ბზარების პირველი ტიპი ორიენტირებულია დეფორმაციის პერპენდიკულარულად, მეორე ტიპი სხვადასხვა დეფორმაციული ბლოკების კონტაქტის გასწვრივ, ტექნოლოგიურ "ნაკერებთან" ან სუსტ გადაბმასთან.

ხასიათის მიხედვით გამოყოფენ ბზარების შემდეგ ტიპებს:

ცილინდრულ კამარებსა და მათ სისტემებში – ქვედა ზედაპირზე – საჭექის გასწვრივ და ყალიბის მოხსნის ხაზის მიმდებარედ; სისტემებში – კუთხეების შემკვრელ და ცენტრალური ბოძების გარშემო მისი დაჯდომისას.

ჯვარედინ კამარებსა და მათ სისტემებში – ყალიბის მოხსნის ღერძის გასწვრივ, შეერთების გარშემო მისი ჩაკიდების, დიაგონალური წიბოს პერპენდიკულარულად (საყრდენის მახლობლად), საყრდენი თაღის გარდიგარდმო, წიბოს გასწვრივ (ზოგჯერ განყოფილებების ადგილას ჩამოცვენით) საყრდენის დაჯდომასა და დაძვრისას.

გუმბათებში – მერიდიალური ბზარები შიდა და გარე ზედაპირზე ქუსლიდან 2/5 – 4/5 ინტერვალზე – არარაციონალური ფორმისას და გვერდითი დატვირთვის არარსებობისას კამარის ცენტრალური გადატვირთვისას. ქუსლის დონეზე საყრდენი რგოლის გადანაცვლებისას.

მყიფე, მსხვრევად დეფორმაციებს, რაც დამახასიათებელია ჩვეულებრივი კირისა და რთული 10-25 მარკის ხსნარების მშრალი წყობისათვის, რასაც თან სდევს კლასიკური ნახეთქების და ღარების წარმოქმნა.

დრეკადი დეფორმაციები მტკიცე წყობისას მაღალი მდგრადობის ხსნარებისას შეიძლება არ გამოვლინდეს დიდი ხანი, მაგრამ გადაძაბვის შედეგად გაჩნდეს მყისიერად.

ტენიანი, პლასტიკური წყობა შეიძლება დეფორმირდეს ნახეთქების გარეშე, მხოლოდ ნაკერების ღარების თანდათანობითი გახსნით. ასეთ შემთხვევაში ცალკეული ქვებისა და აგურების გახეთქვას ადგილი ექნება ძლიერი გადამრეცისას, კამარის შეკუმშული ზონის სიმაღლის ზღვრულ შემცირებასა და ნგრევამდე.

არქიტექტურული ძეგლის საინჟინრო გამაგრების მეთოდები

კონსტრუქციული გამაგრება რესტავრაციის დროს გულისხმობს ძველი შენობის აღდგენას, შენარჩუნებას ან კონსტრუქციული ელემენტების ფუნქციის გაძლიერებას. თუ ნაგებობას რესტავრაციის დროისთვის დაკარგული აქვს რომელიმე თავისი ელემენტი, ის უნდა იყოს ან რეკონსტრუირებული თავდაპირველ ან მსგავს სამუშაო სქემებში ან შეცვლილი თანამედროვე კონსტრუქციებით.

ზოგიერთი არქიტექტურული ძეგლი წარმოადგენს მხოლოდ ნაგებობის ფრაგმენტს შეცვლილი ფუნქციებით. სხვები ე.წ. დისკრეტული სისტემები ინარჩუნებენ რა თავის არქიტექტურულ ფორმას, კარგავენ კონსტრუქციულ

შინაარსს, ამიტომ მათ გამაგრებას წინ უნდა უსწრებდეს კონსტრუქციული სქემების და ცალკეული ელემენტის თანამედროვე ფუნქციების გამოვლენა. გამაგრების ეფექტურობა უმრავლეს შემთხვევაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არიან გამაგრებისთვის არჩეული ელემენტები სინამდვილეში მოცემულ სტადიაზე ძირითადი და მზიდი.

ტექნოლოგიური რეკომენდაციები

1. <u>კედლების და კამარების დეფექტური უბნების გაწმენდის რეკომენდაციები.</u>

   კედლების და კამარების დეფექტური ადგილების ზედაპირები უნდა გაიწმინდოს ხელით. ბზარების გასუფთავება მთელ სიგრძეზე საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შემდგომი სამუშაოების ჩასატარებლად.

2. <u>კედლების და კამარების აგურის წყობის მარილის ლაქების მოშორების რეკომენდაციები.</u>

   გამოვლინდეს გამარილების ზონები წყლის გადენის ან მომატებული ტენიანობის (8%-ზე მეტი) უბნებში სპეც. მოწყობილობების Solts Petector (ფირმა "Protimeter", ინგლისი) საშუალებით აღებული იქნეს სინჯები ლაბორატორიული კვლევისთვის. გამარილებული უბნების (2%-ზე მეტი) გამოვლენისას მოხდეს მარილიანობის მოცილება პულპის სახით დაქუცმაცებული თეთრი ფილტრის ქაღალდის და ცელულოზის გამოყენებით. ამისთვის კი აუცილებელია 2სთ-ის განმავლობაში ვადუღოთ დაქუცმაცებული 100გრ ქაღალდი 1ლიტრ წყალზე ემალირებულ ჭურჭელში, აირიოს მიქსერით. მომზადებული პულპა მსუბუქად გაიწუროს და დაიდოს წყობის ზედაპირზე სრულ გაშრობამდე, შემდეგ ფრთხილად იყოს მოცილებული მსუბუქი შპატელით. საჭიროების შემთხვევაში გავიმეოროთ. კირქვის დამარილების ხარისხი შემოწმდეს მოწყობილობებით.

3. <u>აგურის წყობის კედლების და კამარების ანტისეპტიკური დამუშავების რეკომენდაციები.</u>

   ანტისეპტიკური დამუშავება საჭიროა მაღალი ტენიანობის (8%-ზე მეტი) ადგილებში. ტენიანობის კონტროლი ხდება კონტაქტური ნესტმზომით (მაგ. ფირმა "Denzel", გერმანია). ამისთვის გამოიყენება 5%-იანი პოლისეპტის ხსნარი, რომელიც წარმოადგენს პოლიგექსამეთილენგუანიდინის ჰიდროქლორიდს –

პოლიმერს, რაც გამოდის 25%-იანი ხსნარის სახით. ზედაპირის დამუშავებისას მისი ხარჯია 1,5მლ/დმ^2.

შეიძლება "Capatox"-ის მზა პროდუქტის გამოყენებაც (ფირმა "Capazol",გერმანია).

4. <u>აგურის წყობის კედლების და კამარების რესტავრაციის რეკომენდაციები.</u>

დაზიანებული წყობის მაკერების ჩაკვერვა, რეკომენდირებულია კირქვა-ცემენტის დუღაბის შემდეგი შემადგენლობის გამოყენებით:

კირი (ცომი, 50% წყალი)	2 წილი საერთო მოცულობის
პორტლანდცემენტი რუხი M-400	0,5 წილი საერთო მოცულობის
ქვიშა	5 წილი საერთო მოცულობის

(შესაძლებელია 20% აგურფხვნილის დამატება)

კირცემენტის დურაბი იხსნება წყალში.

5. წყობითი ნაკერების ჩაკვერვის სამუშაოების თანმიმდევრობა.

დაზიანებული-დაშლილი ნაკერები მოიწმინდოს მექანიკურად და მოირეცხოს წყლით. ზედაპირი დასველდეს წყლით ძველი წყობითი ხსნარის მიერ ნესტის ბოლომდე მიღებამდე. ნაკერები ამოივსოს დუღაბით.

6. აგურის წყობის დეფექტური უბნების შეკეთება

აგურებს, რომელთაც აქვთ დეფექტები სიღრმით 3 სმ და სიმტკიცე 3,5M ექვემდებარება შეკეთებას.

ამისთვის გამოიყენება კირცემენტის ხსნარი:

კირი (ცომი, 50% წყალი)	2 წილი საერთო მოცულობის
პორტლანდცემენტი რუხი M-400	0,5 წილი საერთო მოცულობის
ქვიშა	5 წილი საერთო მოცულობის

დუღაბი იხსნება წყალში, კირი უნდა იყოს I ხარისხის, რაც აკმაყოფილებს ГОСТ 9179-77-ს. ქვისა კვარცის ფრაქცია 0,5-2,0მმ აკმაყოფილებს ГОСТ 8736-85 –ის მოთხოვნებს. პორტლანდცემენტი რუხი M 400 აკმაყოფილებს ГОСТ 10178-85 –ს. წყალი ამდუღაბებელი ГОСТ 23732-79 –ს. გამოყენებული უნდა იქნას ნაკლის შემთხვევაში ყინვაგამძლე აგური კარგად გამომწვარი, რაც აკმაყოფილებს ГОСТ 530-80 –ს, არაუმეტეს M-125.

7. <u>სამუშაოთა თანმიმდევრობა</u>

დეფექტური აგურები უნდა მოცილდეს, წარმოქმნილი “ბუდეები” გაიწმინდოს, კარგად დასველდეს და ჩაიდგას შესაბამისი ზომის აგური დუღაბზე. სამუშაოები შესრულდეს 1 აგურის სიღრმემდე თანმიმდევრობით. კამარებზე მუშაობისას საჭირო ხდება აგურის ჩამოთლა.

8. კედლების, კოლონების, თაღების, აფრების და კამარების აგურის წყობა.

აგურის კედლების წყობა უნდა შესრულდეს ნაკერების გადაბმის მრავალრიგითი ან ერთრიგითი სისტემით. ხოლო კოლონების და პილასტრების აგურის წყობა – სამრიგითი გადაბმის სისტემით.

აგურის კოლონები და პილასტრები აუცილებელია აღდგეს არჩეული, მთლიანი აგურებით.

კამარების განბრჯენისას კუთხეებში ბზარების გაჩენის დასაცავად რეკომენდირებულია ფოლადის ბადეების დაწყობა (1მ სიგრძის) ყოველ მხარეს, ყოველ 2 მეტრში, ხოლო კამარების ქუსლებში განბრჯენის შესამსუბუქებლად გამოიყენება ლითონის შემაერთებლები ან მონოლითური სარტყელები.

ბმა უნდა შედიოდე მომიჯნავე კედლებში არაუმეტეს 1მ-ზე შიდა კუთხიდან კაკვამდე. ბმა არ უნდა კვეთდეს სავენტილაციო არხებს.

ფასადური კედლების (არამობათქაშებული და გაულესავი) წყობა სრულდება მთლიანი დაუზიანებელი აგურებით. გადაბმის სურათი მითითებული უნდა იყოს პროექტით. კედლის ღიობების ამოსავსებლად, როგორც წესი, გამოიყენება თაღის ზღუდარი, რომელიც უნდა იყოს წყობის გასწვრივ მოწყობილი.

აგურის ქვედა მწკრივის ქვემოთ წყობის ზღუდარი დუღაბში უნდა ჩაიდოს ფოლადის არმატურა შემდეგი გათვლით: ერთი ღერო (0,2სმ^2 განიკვეთის) ყოველ აგურ კედლის სისქეზე, თუ პროექტით არ არის გათვალისწინებული უფრო ძლიერი არმირება.

სოლისებური შესკრავები, რომელიც დაწყობილია ჩვეულებრივი აგურით, ეწყობა სოლისებური ნაკერით რომლის სისქე უდა იყოს არა უმეტეს 5მმ ქვევით და 25მმ-ზე მეტი ზევით. ასეთი შესაკრავების წყობა წარმოებს ორი მხრიდან, ქუსლიდან შუა ნაწილის მიმართულებით.

სოლისებური და მწკრივული შესაკრავების –ზღუდარების გამოყენება დაუშვებელია 2მ-ზე მეტი მალის შემთხვევაში ასევე იმ შენობებში, სადაც შეიძლება მოხდეს კედლების არათანაბარი დაჯდომა.

ლავგარდნის (კარნიზის) გადმოშვერა აგურის წყობაში დასაშვებია აგურის სიგრძის არაუმეტეს 1/3, ხოლო საერთო გადმოშვერა არაარმირებული აგურის ლავგარდანის – დასაშვებია არაუმეტეს კედლის სისქის ნახევრისა.

კედლის ნახევარ სისქეზე მეტი ნაშვერის ლავგარდანი უნდა მოეწყოს არმირებული აგურის წყობით, ქვის ან სხვა ელემენტებით, წყობაში დაანკერებულით. ასეთი ლავგარდანის კონსტრუქცია უნდა იყოს მითითებული პროექტში.

დიდი ნაშვერის ლავგარდანი სრულდება მთლიანი ფილის ჩამაგრებით წყობაში ან რკინის, კედელში ჩამაგრებულ ელემენტებზე დაყრდნობით.

ლავგარდანის მოწყობის დროს ის დროებით ხის საყრდენებით მაგრდება.

ფასადების გამოყვანა მოსაპირკეთებელი მასალით ხდება კედლების მოწყობასთან ერთდროულად. აგურის კედლების გამოფიტული ზედაპირები უნდა შეკეთდეს 2 მეთოდით: დეფექტების შევსება 3-5სმ-ზე ნაკლები ხარვეზებისას და გადაწყობა აგურის წყობის დიდი დაზიანებისას.

ამოსავსებლად გამოიყენება შემადგენლობა – პორტლანდცემენტი M500, აგურის ფხვნილი, სუპერლასტიფიკატორი C-3 და წყალი. ფერის დასაყენებლად ნარევს უმატებენ რკინის და ტყვიის სურიკს. ხსნარის შერჩევა ხდება სინჯების მიხედვით, მათი ფიზიკური ხასიათის საფუძველზე.

შეკეთება კი სრულდება სარესტავრაციო აგურით, რომელიც შესაბამისობაშია ძველთან და აუცილებლად დუღაბით რომელიც შეიცავს კირს.

ბოლოს ხდება კედლის ზედაპირის კირ-ცემენტის ხსნარით დამუშავება.

<u>თაღების და აფრების მოწყობა.</u>

აგურის თაღები იწყობა ქარგილის მიხედვით,რომელიც მოწყობილია მკაცრად ჰორიზონტალურად და შვეულისმიხედვით. თაღებისთვის გამოიყენება ქვა ან აგური სოლისებური ფორმის, რომელიც უნდა დალაგდეს მკაცრად ცენტრისკენ და გაუსწორდეს თაღის ცენტრში ჩამაგრებულ ზონარს.

თუ არ არის მზა მრუდთარგა აგური საჭიროა შეიცვალოს ჩვეულებრივი აგურით ისე, რომ მიეცეს შესაბამისი სოლისებური ფორმა. თაღების მოწყობისას საჭიროა მკაცრად მიექცეს ყურადღება აგურის ხარისხს, ნაკერების მდგომარეობას.

ჩვეულებრივი აგურით მოწყობილი თაღები სრულდება სოლისებური ნაკერებით ქვევით არა უმეტეს 5მმ და ზევით არა უმეტეს 25მმ-ის. ასეთი თაღების მოწყობა ხდება ორი მხრიდან, ქუსლიდან შუა ნაწილის მიმართულებით.

თაღებს აკეთებენ როგორც წესი თანაბარი სისქის ორ ფენად, ამასთან ორივე ფენა უნდა იყოს დამაგრებული ერთდროულად. ამის შემდგომ ქარგილს დაუშვებენ, სადგარებიდან თანმიმდევრობით იღებენ სოლებს ისე რომ არ დაუშვან გადახრა. სადგარების მცირე ზომისას მეორე ფენის ქუსლები შეიძლება იყოს აწეული.

ქარგილი უნდა იყოს საპროექტო ზომაზე უფრო ამოზნექილი, რადგან გათვალისწინებული იქნას აგურის წყობის შემდგომი დაჯდომა. 6მ-იანი მალისთვის ამაღლება უნდა იყოს 2სმ, ხოლო 10მ-იანი მალისთვის დაახლოებით 7სმ.

მთავარი თაღები ქვედა ნაწილისი სიმაღლის ნახევარზე უნდა დაიწყოს ჰორიზონტალურ რიგებად წანამატით კოლონებთან ერთად. თაღების სიმტკიცისთვის გამოიყენება არმირებული ბადე 50სმ ბიჯით.

იმისთვის, რომ დიდი თაღების მოწყობისას მოხდეს დაძაბულობის გათანაბრება ისინი უნდა აიგოს სასწრაფოდ, რომ ხსნარმა ვერ მოასწროს ბოლომდე გაშრობა ქარგილების მოხსნის მომენტისათვის.

აფრები ასევე უნდა მოეწყოს კირის ხსნარით ცემენტის დამატებით ხსნარის შეკვრის შესანელებლად. აფრები უნდა გამაგრდეს რკინის ზოლებით, რომელიც მიდის ჰორიზონტალურად რამდენიმე დონეზე აფრის სიმაღლეზე.

ქარგილის ფორმებს კამარებისთვის აკეთებენ 6-9სმ სისქის დაფებით, ერთ ან რამდენიმე რიგად კამარის ზომის მიხედვით, და განალაგებენ 0,7მ ინტერვალით შესაფიცრი ყალიბის 2-3სმ სიგანის ან 1-1,4მ ინტერვალით ქარგილის სისქით 5სმ.

კამარის შემდგომი დაჯდომის გათვალისწინებით ქარგილის მოწყობისას მას აკეთებენ 1სმ-ით მაღალზე 0,7მ გრძივი მეტრისთვის, რაც უნდა აითვალოს ქუსლიდან.

მრავალცენტრიან კამარების მოწყობისას სოლისებური აგურის რიგები იწყობა უწყვეტად კამარის მთელ სიგრძეზე, ხოლო პირაპირები გადაბმაში.

ჯვარედინ კამარაში წყობა მიდის ჩვეულებრივ რიგად, ხოლო აფრიანში – ირიბი წყობით.

